მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი

წლიური ანგარიში
2009

სარჩევი

ზოგადი ცნობები
ორგანიზაციული განვითარება 2008 წელს
პროგრამული პრიორიტეტები
საპროექტო საქმიანობა

დანართი

კავკასიური ინსტიტუტის მიერ 2009 წელს განხორციელებული პროექტები
კავკასიური ინსტიტუტის მიერ 2009 წელს ჩატარებული ღონისძიებები

მისამართი: აკაკი წერეთლის გამზირი 72, თბილისი 0154, საქართველო
სააბონენტო ყუთი 101, თბილისი 0108, საქართველო
ტელ: (995 32) 35 51 54, ფაქსი (995 32) 35 57 54
ელ-ფოსტა: info@cipdd.org;
www.cipdd.org

ზოგადი ცნობები

კავკასიური ინსტიტუტი საჯარო პოლიტიკის კვლევის ცენტრია; ის, ძირითადად, საქართველოში წარმართავს თავის საქმიანობას, თუმცა სამხრეთ კავკასიის და შავი ზღვა-ბალტიკის სივრცეზე მიმდინარე ერთობლივ პროექტებშიც მონაწილეობს. ინსტიტუტი ხშირად არის სხვა - ქართული თუ უცხოური - სამოქალაქო ორგანიზაციის პარტნიორი ან რომელიმე კოალიციის წევრი; ამასთან, თანამშრომლობს საქართველოს ხელისუფლებასთან, პოლიტიკურ პარტიებთან, საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან.

კავკასიური ინსტიტუტი აწარმოებს კვლევებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს საჯარო პოლიტიკის სფეროში, გამოსცემს პუბლიკაციებს შესაბამის თემებზე, აწყობს კონფერენციებს, მრგვალ მაგიდებს და საჯარო დისკუსიებს. ინსტიტუტი აგრეთვე ატარებს სასწავლო თრეინინგებს და სემინარებს თავისი კომპეტენციის სფეროებში.

მისიის გაცხადება

ჩვენ გვინდა, რომ დემოკრატია იყოს არა ახალი დოგმატური იდეოლოგია, სადაც საზოგადოების ავანგარდი ერთადერთ სწორ იდეას ახვევს თავს "ჩამორჩენილ" თანამოძმეებს, არამედ პროცესი, რომელშიც მოქალაქეები პასუხისმგებლობას იღებენ თავიანთ პოლიტიკურ ინსტიტუტებზე.

კავკასიური ინსტიტუტი არის საზოგადოებრივი დისკუსიის კატალიზატორი: ჩვენ მოვიპოვებთ ცოდნას საზოგადოებრივი პრობლემების შესახებ, ვთავაზობთ საზოგადოებას მათ ანალიზს, შეფასებას და გადაწყვეტის ხედვას, ვაფართოვებთ იმ ადამიანთა წრეს, ვისაც უნდა და შეუძლია ჩაერთოს საჯარო პრობლემებზე ბჭობაში.

ინსტიტუტის მუშაობას ზოგად ხელმძღვანელობას უწევს მისი თავმჯდომარე, გია ნოდია. მუდმივ ადმინისტრაციულ შტატს (შვიდი წევრი) ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორი, ავთანდილ ჯოხაძე უდგას სათავეში. საპროგრამო საქმიანობას კოორდინაციას უწევს ინსტიტუტის საბჭო, რომელიც შედგება ინსტიტუტის თავმჯდომარის, აღმასრულებელი დირექტორის და პროექტების ხელმძღვანელებისაგან.

კავკასიური ინსტიტუტის სტრატეგიას განსაზღვრავს და საქმიანობას ზედამხედველობს გამგეობა, რომლის წევრებიც არიან:

- ია ანთაძე
- მარატ ბარათაშვილი
- ოლესია ვართანიანი
- გია ნოდია
- ჩარლზ ჰ. ფერბენქსი
- ემილია ხალილოვა
- ემზარ ჯგერენაია (გამგეობის თავმჯდომარე)

კავკასიური ინსტიტუტის ფინანსები

ინსტიტუტის საქმიანობა დონორების მხარდაჭერაზე, მისი თანამშრომლების, პარტნიორების და კოლეგების ენთუზიაზმსა და პასუხისმგებლობაზეა დამოკიდებული. მისი ფინანსების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი მოდის სხვა წყაროებიდან. ასეთია, მაგალითად, ინსტიტუტის გამოცემების გაყიდვით მიღებული შემოსავალი (გამოცემების უმრავლესობა უსასყიდლოდ რიგდება).

2009 წელს ინსტიტუტის აქტივებმა შეადგინა 743 00 ამერიკული დოლარის ეკვივალენტი.

ორგანიზაციული განვითარება 2009 წელს

პროგრამული პრიორიტეტები

2009 წელს კავკასიური ინსტიტუტი განაგრძობდა საქმიანობას სტრატეგიული გეგმით მონიშნულ სამ სფეროში: საჯარო პოლიტიკა, დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარება, სამოქალაქო ინტეგრაცია. წლის განმავლობაში ინსტიტუტის საქმიანობამ მოიცვა: სკოლებში განათლების რეფორმის მხარდაჭერა; საჯარო პოლიტიკის შემუშავების სტანდარტული ხერხების სწავლება; პოლიტიკური ინსტიტუტების ფუნქციურ ანალიზი; ეთნო და რელიგიური უმცირესობების სამოქალაქო აქტივობის ხელშეწყობა; დამოუკიდებელი რეგიონული მედიის ქსელური კავშირების შექმნა და განმტკიცება; მედია-მონიტორინგი და სხვა.

კავკასიური ინსტიტუტის დონორები

2009 წლის განმავლობაში ინსტიტუტის საქმიანობას მხარს უჭერდნენ შემდეგი დონორები:

- დემოკრატიის ეროვნული ფონდი (NED)
- ღია საზოგადოების ინსტიტუტის ბუდაპეშტის კვლევითი ცენტრების ფონდი (OSI Think Tank Fund - Budapest)
- ღია საზოგადოდების ინსტიტუტი, აშშ (OSI)
- ფონდი ღია საზოგადოება საქართველო (OSGF)
- ევროკომისია (EC)
- ეუთო-ს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისარიატი (OSCE)
- ევანგელისტური განვითარების სამსახური (EED)
- Black Sea Trust of the German Marshall Fund
- ევროსაბჭო (EC)

2009 წელს ინსტიტუტმა სტრატეგიული პრიორიტეტების უფრო ეფექტური განხორციელების მიზნით სამი საპროგრამო ქვედანაყოფი შექმნა:

1. *დემოკრატიული ინსტიტუტების და პროცესების ხელშეწყობის განყოფილება* (ჯგუფის სამოქმედო სივრცე მედიას, პოლიტიკურ პარტიებს, სამოქალაქო საზოგადოებას და თვითმმართველობის ინსტიტუტებს მოიცავს).
2. *სამოქალაქო ინტეგრაციის განყოფილება* (იმუშავებს კონფლიქტებზე, უმცირესობების უფლებების დაცვაზე, კულტურული მრავალფეროვნების ხელშეწყობაზე, რელიგიისა და განათლების საკითხებზე)
3. *ევროინტეგრაციის ხელშემწყობის განყოფილება*

საპროგრამო ქვედანაყოფების ხელმძღვანელ პირებს სამოქმედო გეგმის შემუშავება, საპროექტო განაცხადების მომზადება და ფინანსების მოძიება დაევალათ. რასაკვირველია, პროექტების დაგეგმვა-განხორციელბაში ინსტიტუტის სხვა თანამშრომლებიც მონაწილეობენ. ჯგუფების საქმიანობაში მახვილი კვლევის შედეგების გავრცელებასა და ადვოკატირებაზე გაკეთდება.

კავკასიური ინსტიტუტის ფინანსები

ინსტიტუტის საქმიანობა დონორების მხარდაჭერაზე, მისი თანამშრომლების, პარტნიორების და კოლეგების ენთუზიაზმსა და პასუხისმგებლობაზეა დამოკიდებული. მისი ფინანსების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი მოდის სხვა წყაროებიდან. ასეთია, მაგალითად, ინსტიტუტის გამოცემების გაყიდვით მიღებული შემოსავალი (გამოცემების უმრავლესობა უსასყიდლოდ რიგდება).
2009 წელს ინსტიტუტის ხარჯებმა შეადგინა 743 000 ამერიკულ დოლარს ეკვივალენტი შეადგინა.

საპროექტო საქმიანობა

სამოქალაქო საზოგადოების კვლევა და განვითარება

2009 2008 წლის მიწურულს *ფონდი - ღია საზოგადოება საქართველოს* მხარდაჭერით კავკასიურმა ინსტიტუტმა ჩაატარა კვლევა სამოქალაქო საზოგადოების ინდექსის დადგენის და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით. კვლევა სივიკუსის (მსოფლიო ალიანსი მოქალაქეთა მონაწილეობისთვის www.civicus.org) მეთოდოლოგიას დაეყრდნო, რაც სამოქალაქო საზოგადოების შემდეგი განზომილებების მიხედვით შეფასებას გულისხმობდა: პოლიტიკურ პროცესებში მოქალაქეების ჩართულობა, საზოგადოების ინსტიტუციონალიზაციის ხარისხი, ღირებულებები, გარემო და მისი გავლენა. წელს ჩატარდა, როგორც ორგანიზაციების, ისე საზოგადოების მიერ ამ ორგანიზაციების აღქმის დამდგენი კვლევები. საამისოდ თბილისსა და რეგიონებში ათი ფოკუს ჯგუფი იქნა ორგანიზებული. გამოწვლილვით იქნა შესწავლილი ოთხი კერძო საკითხი (case study): ბიზნესის დამოკიდებულება არასამთავრობო ორგანიზაციებისა და კორპორაციული პასუხისმგებლობისადმი; რეგიონული არასამთავრობოების ორგანიზაციული განვითარების დონე: ახალციხის სამოქალაქო ორგანიზაციების მაგალითი; ანგარიშვალდებულება ქართულ სამოქალაქო ორგანიზაციებში - ფორმები და პროცესები; პოლიტიკური პარტიების ახალგაზრდა წევრების მოტივაციები.

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით დაიწერება ანგარიში და პოლიტიკის ნარკვევი (policy brief). სამოქალაქო საზოგადოების სხვადასხვა წრიდან პროექტის საზედამხედველოდ თორმეტკაციანი მრჩეველთა საბჭო შეიქმნა; საბჭო მონაწილეობას მიიღებს სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისთვის საჭირო რეკომენდაციების შემუშავებაში და ხელს შეუწყობს კვლევის შედეგების გავრცელებას. კვლევის შედეგები და პოლიტიკის ნარკვევი ქართულ და ინგლისურ ენებზე დაიბეჭდება. პროექტის დასკვნით საფეხურზე კონფერენციის ჩატარებაც იგეგმება.

German Marshal Fond - The Black Sea Trust -ის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელებული პროექტი - "სამოქალაქო ორგანიზაციების რეგიონული ქსელი" - მიზნად რეგიონალური ორგანიზაციების ურთიერთთანამშრომლობის განვითარებას და ადგილობრივი თვითმმართველობის პროცესში საქართველოს რეგიონების საზოგადეობის წარმომადგენელთა უფრო აქტიურ და "აკადემიურ" ჩართვას ისახავდა. საამისოდ კონკურსის წესით საქართველოს რეგიონების ათი ორგანიზაცია შეირჩა, რომელთა წარმომადგენლებმა გაიარეს თრეინინგი პოლიტიკის ანალიზისათვის საჭირო მნიშვნელოვან კომპონენტებში (თეორიული ცოდნა, კვლევის ჩატარება, წერითი გადმოცემა, მასალებთან მუშაობა, თვითმმართველობის ორგანიებთან თანამშრომლობა). დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ჩატარებული სამუშაოს შედეგად პროექტში ჩაბმული ახალგაზრდა სპეციალისტები (თბილისიდან და რეგიონებიდან) უკეთ იცნობენ რეგიონების პრობლემებს, შეუძლიათ მათი გაანალიზება, თვითმმართველობის ორგანოებთან თანამშრომლობის კონკრეტული გზების დასახვა და ამ გზით საზოგადოებრივ პრობლემებზე მეტი პასუხისმგებლობის აღება.

პოლიტიკური პარტიები საქართველოში

საქართველოში მოქმედი პოლიტიკური პარტიების განვითარების პროგრამას კავკასიური ინსტიტუტი 2005 წლიდან მოყოლებული ახორციელებს ნიდერლანდების მრავალპარტიული დემოკრატიის ინსტიტუტთან (NIMD) თანამშრომლობით. თანამშრომლობა 2009 წელსაც გაგრძელდა. მორიგი პროექტი პოლიტიკური პარტიების საკონსტიტუციო რეფორმის პროცესში ჩართვას და ამ პარტიების მიერ საკონსტიტუციო ცვლილებების შეფასებას ემსახურება. პროექტი ყველა ძირითად პოლიტიკურ პარტიასთან თანამშრომლობას გულისხმობს. შეისწავლება მიმდინარე საკონსტიტუციო რეფორმისადმი პოლიტიკური პარტიების დამოკიდებულება და გამოიკვეთება საკითხები, რასაც პარტიები მიანიჭებენ უპირატესობას. პროექტის საბოლოო შედეგები საკონსტიტუციო კომისიას წარედგინება.

სამოქალაქო ინტეგრაცია

ევანგელისტური განვითარების სამსახურის (EED) პროექტი "უმცირესობათა ინტეგრაციისათვის გარემო პირობების გაუმჯობესება განათლების რეფორმების მხარდაჭერის გზით" საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოქალაქეთა ჩართულობის გაღრმავებას და სხვადასხვა ეთნო–რელიგიური ჯგუფის სამოქალაქო უფლებების თანასწორად დაცვას გულისხმობს. საამისოდ 2009 წელს საჯარო სკოლის მასწავლებელებს ჩაუტარდათ თრეინინგები, ტოლერანტული შეგნებისა და ეთნო–რელიგიური მრავალფეროვნების პატივისცემის განმტკიცებისთვის საჭირო ღონისძიებების უკეთ გატარების უნარების გასავარჯიშებლად. სასკოლო სამეურვეო საბჭოს ქმედუნარიანობის გაზრდის მიზნით კი ამავე პროექტის ფარგლებში სათანადო შინაარსის თრეინინგმოდულები მომზადდა.

ამავე პროექტის ფარგლებში 2009 წლის განმავლობაში ტარდებოდა ღონისძიებები საზოგადოებრივ ცხოვრებაში სხვადასხვა ეთნო–რელიგიური ჯგუფის მოქალაქეთა ჩართულობის გასაღრმავებლად. შემუშავდა **კულტურული მრავალფეროვნების აღიარების** ახალი თრეინინგ მოდული. საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან შეირჩა და მომზადდა თრენერები. ჩატარდა თრეინინგების პირველი ციკლი.

2009 წლის თებერვალში დასრულდა **რელიგიის ისტორიის სახელმძღვანელოს** ავტორთა შესარჩევი კონკურსი. შეირჩნენ ავტორები (დავით თინიკაშვილი და ზურაბ ჯაში) და შეიქმნა ფილოსოფიის, ისტორიის, თეოლოგიის, რელიგიათმცოდნეობის სპეციალისტებისგან დაკომპლექტებული მრჩეველთა ჯგუფი, რომლეშიც განათლების ექსპერტიც მონაწილეობს.

ამავე პროექტის ფარგლებში ახალი სასკოლო ღონისძიების - "**კულტურული მრავალფეროვნების დღე სკოლაში**" მოსაწყობი კონკურსი მოეწყო. შეიქმნა "მასწავლებლის მეგზური", რაც პედადოგებს "მრავალფეროვნების დღის" მოწყობაში დაეხმარება.

2009 წელს შემუშავდა თრეინინგის - „**სკოლის ადმინისტრაციის და სამეურვეო საბჭოს ქმედუნარიანობის ამაღლება**" - ახალი მეთოდოლოგია. ჩატარდა კონკურსი რეგიონალური თრენერის შესარჩევად, გამარჯვებული თრენერებად თბილისში მომმზადდნენ. რეგიონებში სამოქალაქო ორგანიზაციების ქმედუნარიანობის გაზრდის გარდა ამ ღონისძიებამ საშუალებას გვაძლევს ადგილებზე თრეინინგები ეთნოუმცირესობების ენებზე, ანუ სომხურად და აზერბაიჯანულად ჩავატაროთ. საწყის ეტაპზე ადგილობრივი თრენერები კავკასიური ინსტიტუტის თრენერების თანდასწრებით და ზედამხედველობით მუშაობდნენ, შემდეგ ეტაპზე კი - დამოუკიდებლად.

ევროკომისიის პროექტის - "დამოუკიდებელი მედია სამოქალაქო ინტეგრაციისთვის" ფარგლებში კავკასიური ინსტიტუტი პარტნიორ ორგანიზაციებთან ("სამოქალაქო ინტეგრაციის ფონდი" (საქართველო), "გამომძიებელ ჟურნალისტთა ასოციაციის კვლევითი ცენტრი – რეგიონი" (სომხეთი) და "აზერბაიჯანის ჟურნალისტთა დაცვის ლიგა") ერთად განაგრძობდა

სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში მედიის ხელშეწყობის გზით ეთნო-უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციისკენ მიმართულ ღონისძიებებს. ინსტიტუტი ზემოხსენებული რეგიონების ჟურნალისტებს როგორც ტექნიკური სიძნელეების დაძლევაში, ისე პროფესიულ დაოსტატებაში ეხმარებოდა. "კავკასიის ჟურნალისტთა ქსელში" ამ ჟურნალისტების ჩართვით კი მათ საჭირო ინფორმაციის მოპოვება გაუიოლა.

ინსტიტუტმა 2009 წლის განმავლობაში მედიის განვითარების სხვა პროექტებიც განახორციელა:

2007 წელს დაიწყო და 2009 წლის განმავლობაში გრძელდებოდა ევროკომისიის (თანადამფინანსებლები: ეუთო და ღია "საზოგადოება საქართველო") პროექტი – "დამოუკიდებელი მედია სამოქალაქო ინტეგრაციისთვის". პროექტი სამი ძირითადი შედეგის მიღწევას იზრახავს: უმცირესობების ინტეგრაციაზე ორიენტირებული მედია პროდუქციის შექმნა; ჟურნალისტთა პროფესიული უნარების ზრდა და სამხრეთ კავკსიის ჟურნალისტთა ქსელის გაძლიერება მასში რეგიონის ჟურნალისტების ჩართვით.

სამიზნე რაიონებში (მარნეული, გადაბანი, ახალქალაქი და ახალციხე) საგანგებოდ შექმნილ ინტერნეტულ კლუბებში (მედია ცენტრებში) ადგილობრივ ჟურნალისტებთან ჩატარებული შეხვედრების საფუძველზე გამოირკვა, რა უნარების განვითარება და რა ცოდნის შეძენა სჭირდებოდათ რეგიონში მომუშავე ჟურნალისტებს. გაზიარებულ იქნა სამიზნე ჟურნალისტების მოსაზრებები ადგილობრივ და დედაქალაქის გაზეთებს შორის თანამშრომლობის მექანიზმების ამოქმედების საკითხზე, დაფიქსირდა საჭირბოროტო საკითხების მათეული ჩამონათვალი. საჭიროებათა ამ გამორკვევის საფუძველზე ორი თრეინინგ-პროგრამა შემუშავდა: ***რეგიონში მცხოვრები ჟურნალისტების ძირითადი სირთულეები, ქმედითი კომუნიკაცია და პრობლემების გადჭრა; ახალი ამბების რეპორტინგი, წამყვანი ქართული გაზეთების მოთხოვნათა შესატყვისი ჟურნალისტური უნარები*** .

ახალი ამბების რეპორტაჟის თრეინინგები ახალციხეში, ახალაქალქსა და მარნეულში ჩატარდა. ხოლო ეფექტური კომუნიკაციის და პროვბლემიების დაგაწყვეტის - მარნეულსა და ახალციხეში. ჩატარდა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი თრეინინგ-სემინარიც.

კავკასიელი ჟურნალისტთა ქსელის საიტზე www.caucasusjournalists.net სამიზნე ჟურნალისტების მონაწილეობით 4 ინტერნეტული დისკუსია მოეწყო რეგიონალური (სამხრეთ კავკასია) და ეროვნული მნიშვნელობის საკითხებზე. თითო დისკუსიამ 4-6 დღე გასტანა. დისკუსიაში მოწვეული ექსპერტებიც მონაწილეობდნენ.

2009 წლის ოქტომბრიდან ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის ჟურნალისტებისათვის დაიწყო თრეინინგების ახალი სერიები: პროექტის ციკლის მართვა; სტრატეგიული დაგეგმვა; ორგანიზაციული განვითარება; ინოვაციური მეთოდების გამოყენება. (მასალა ამის შესახებ იხ.: http://www.caucasusjournalists.net/article.asp?idarticle. ამავე სიატზე ათ სხვადასხვა ექსპერტთან ჩატარებული ინტერვიუც არის ატვირთული).

პროექტის დასასრულს დამოუკიდებელ ორგანიზაცია - რეგიონული პრესის ურთიერთდახმარებისა და განვითარების ფონდი ჩამოყალიბა. ფონდი წევრებს ფიანანსური მდგრადობის გასაუმჯობესებელი მცირე პროექტების განხორციელების კრედის უყოფს და მენეჯერული კონსულტაციით ეხმარება (კოლეგათა ურთიერთკონსულტირების გზით).

კონფლიქტები: მონიტორინგი და ანალიზი

2009 კავკასიურმა ინსტიტუტმა გაარძელა ეუთოს მიერ დაფინანსებული კვლევისა და ანალიზის პროგრამა - "სიტუაციის მონიტორინგი სამცხე-ჯავახეთში", რომელიც 2000 წლიდან მოყოლებული ხორციელდება. რეგიონალური კორესპოდენტების ინდივიდუალური

ანგარიშების და მედია ანალიზის საფუძველზე კავკასიური ინსტიტუტი პროექტის ფარგლებში ყოველთვიურ ზოგად-ანალიტიკურ ანგარიშგებას ამზადებს.

2009 წელს კავკასიურმა ინსტიტუტმა გერმანულ Pro NGO!-სთან თანამშრომლობით და ევროკომისიის დაფინანსებით ახალი პროექტის - *ადრეული გაფრთხილების სისტემის შექმნა შიდა ქართლის რეგიონში (Establishing of Early Warning System in Conflict Affected Shida Kartli Region of Georgia)* - განხორციელება დაიწყო. პროექტის მიზანს კონფლიქტის ზონის მომიჯნავე რეგიონში მიმდინარე მოვლენების რეგულარული მონიტორინგი, სიტუაციის ანალიზი და დაინტერესებული მხარეებისთვის (მთავრობა, შესაბამისი სამთავრობო ინსტიტუტები, საქართველოს არასამთავრობო ორგანზიაციები, საერთაშორისო ორგანზიაციები, განსაკუთებით ევროკავშირის ინსტიტუტები - ევროკავშირის მონიტორინგის მისია, ევროკომისია) კვლევის შედეგების გაცნობა წარმოადგენს. ამას გარდა, პროექტი რეგიონში დევნილების პრობლემატიკაზე მომუშავე ორგანზიაციებს შორის ინფორმაციის გაცვლის მექანიზმის შექმნას და ამ გზით ორგანიზაციული ქსელის ფორმირებას ითვალისწინებს.

შეირჩა 6 ადგილობრივი კორესპოდენტი, რომლებიც რეგიონში მიმდინარე სიტუაციას აკვირდებიან და ყოველთვიურ ანგარიშებს ამზადებენ. მიღებული მასალების და ქართულ ბეჭვდით მედიაში შიდა ქართლის მოვლენების ამსახველი მასალების ანალიზის საფუძველზე კავკასიური ინსტიტუტის მკვლევარები ყოველთვიურ ანალიტიკურ ანგარიშს ადგენენ. რეგიონში არსებული ვითარება პოლიტიკური, ეკონომიკური, საზოგადოებრივი და ინსტიტუციური ინდიკატორების მიხედვით ანალიზდება. ანგარიშები კავკასიური ინსტიტუტის ვებგვერდზე ქვეყნდება. პროექტის პროდუქტებს ჩატარებული მრგვალი მაგიდების კვარტალური ანგარიშებიც შეადგენს.

2009 წლის მიწურულს კავკასიურმა ინსტიტუტმა, ახალგაზრდა იურისთა ასოციაციამ და უსაფრთხო მსოფლიომ (safeworls) ევროკომისიის მიერ დაფინანსებულ პროექტის - "კონფლიქტის, უსაფრთხოების და მშვიდობის შესახებ ფართო და ინფორმირებული დიალოგის ხელშეწყობა" განხორცილება დაიწყო, რომლის მიზანიც საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ხელშეწყობა და სამოქალაქო ორგანიზაციებისათვის უსაფრთხოების, მშვიდობის და კონფლიქტების საკითხებზე ანალიტიკური სამუშაოს ჩატარების უნარ-ჩვევის გამომუშავებაა.

ამ მიზნით შიდა და ქვემო ქართლში, სამეგრელოში, სამცხესა და ჯავახეთში ოთხი რეგიონალური ფორუმი - დიალოგი სამოქალაქო საზოგაოდების ორგანიზაციებს შორის - უნდა შეიქმნას. რეგიონალური ფორუმები დიალოგის პროცესში გამოიმუშავებენ კანფლიქტების ერთიანი ანალიზის და პრიორიტეტული სამშვიდობო ინიციატივების განსაზღვრის უნარს და დასახავენ რეკომენდაციებს გადაწყეტეილებების მიმღები პიროებისადმი. ყოველივე ამის შედეგად შეიქმნება რეგიონების სპეციფიკების ამსახველი დოკუმენტი.
უკვე მოეწყო პირველი შეხვედრები ოთხივე ხსენებული რეგიონის სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან. საკონსულტაციო მომსახურება გაეწია სხვადასხვა სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენლებს.

კონფერენციები. საჯარო დისკუსიები

2009 წლის 4-5 ივლისის კონრად ადენაუერის ფონდის დაფინანსებით კავკასიურიმა ინსტიტუტმა კონფერენიცია ჩაატარა, - **ინტერკულტურული და ინტერრელიგიური სწავლება ტოლერანტობის ხელშესაწყობად**. კონფერენციაზე მოწვეულმა უცხოელმა ექსპერტებმა (პროფ.

ჰანს-გეორგ ზიბერტცი, პროფ. მარტინ შვაიცერი) მონაწილეებს რელიგიის სწავლების ევროპული გამოცდილება გაუზიარეს, ისაუბრეს რელიგაითაშორისი და კულტურათშორისი სწავლების საჭირბოროტო საკითხებზე.

ამაავე წლის 22 დეკემბერს იმავე ფონდის მხარდაჭერით ერთი საერთაშორისო კონფერენციაც გაიმართა, ბულგარეთიდან, უკრაინიდან, აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან მოწვეული სტუმრების მონაწილეობით. სტუმრებმა ინტერკულტურული დიალოგის თავიანთ ისტორიულ გამოცდილებაზე და სადღისოდ არსებულ სიძნელეებზე ისაუბრეს.

გასულ წელს კავკასიურმა ინსტიტუტმა არაერთ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საკითხე მოაწყო საჯარო დისკუსია. ორ ენაზე - ქართულად და ინგლისურად - გამოსცა პოლიტიკური განაზრახის წიგნაკები (policy paper):

1. **მედია სივრცის პლურალიზმის პრობლემები საქართველოში**
2. **ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული მოწყობა: სამოქალაქო საზოგადოების ხედვა**
3. **საქართველოს სატყეო სექტორი**
4. **რამდენად შეიცვალა მსოფლიო? გავლენა ქართულ პოლიტიკაზე**
5. **ჯავახეთი აგვისტოს ომიდან ერთი წლის შემდეგ**
6. **ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა საქართველოში**
7. **შიდა ქართლი 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ: გამოწვევები და გადაწყვეტის გზები**
8. **თურქეთ-სომხეთის ურთიერთობების მოსალოდნელი დარეგულირება: გავლენა საქართველოზე**
9. **ევროკავშირის აღმოსავლეთის პარტნიორობა: სამოქალაქო საზოგადოების მოლოდინები და ახალი შესაძლებლობები**

გამოცემები მომზადდა და დისკუსიები გაიმართა აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის დემოკრატიის კომისიის მცირე გრანტების პროგრამის და ღია საზოგადოების ინსტიტუტის კვლევითი ინსტიტუტების ფონდის (ბუდაპეშტი) მხარდაჭერით.

დისკუსიების მასალები - აუდიო ჩანაწერები, ტრანსკრიპტი, ფოტოები, პოდკასტი - განთავსებულია კავკასიური ინსტიტუტის ვებ-გვერდზე www.cipdd.org.

ვებ-გვერდზე ასევე გახსნილია ბლოგები, საცა შესაძლებელია კომენტარის გაკეთება თითოეული გამოცემის თემაზე.

კავკასიური ინსტიტუტის პარტნიორი ორგანიზაციები
2009 წელს ინსტიტუტმა ერთობლივი პროექტები განახორციელა შემდეგ ორგანიზაციებთან:

- სამოქალაქო ინტეგრაციის ფონდი
- გამომძიებელ ჯურნალისტთა ასოციაციის კვლევითი ცენტრი (სომხეთი)
- აზერბაიჯანის ჟურნალისტთა დაცვის კომიტეტი (აზერბაიჯანი)
- ნიდერლანდების მრავალპარტიული დემოკრატიის ინსტიტუტი (ჰოლანდია)
- საგანგებო პირობებში მომუშავე ჟურნალისტიკის ცენტრი (რუსეთი)
- ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტი
- კონრად ადენაუერის ფონდი
- Saferworld
- Pro NGO!

კავკასიური ინსტიტუტის გამოცემები 2009 წელს

ევროკავშირის აღმოსავლეთის პარტნიორობა: სამოქალაქო საზოგადოების მოლოდინები და ახალი შესაძლებლობები
პოლიტიკის განაზრახის წიგნაკი
თამარ პატარაია
თებერვალი 2010
პოდკასტი

თურქეთ-სომხეთის ურთიერთობების მოსალოდნელი დარეგულირება: გავლენა საქართველოზე
პოლიტიკის განაზრახის წიგნაკი
გია ნოდია
იანვარი 2010
პოდკასტი

სამოქალაქო საზოგადოება საქართველოს რეგიონებში: ჩართულობა ადგილობრივ თვითმმართველობაში
პოლიტიკის განაზრახის წიგნაკი
კრებული
2009

შიდა ქართლი 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ: გამოწვევები და გადაწყვეტის გზები
პოლიტიკის განაზრახის წიგნაკი
ერეკლე ურუშაძე
დეკემბერი 2009
პოდკასტი

ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა საქართველოში
პოლიტიკის განაზრახის წიგნაკი
სიმონ ჯანაშია
ნოემბერი 2009
პოდკასტი

ჯავახეთი აგვისტოს ომიდან ერთი წლის შემდეგ

პოლიტიკის განაზრახის წიგნაკი
არჩილ აბაშიძე
ოქტომბერი 2009
პოდკასტი

რამდენად შეიცვალა მსოფლიო? გავლენა ქართულ პოლიტიკაზე
პოლიტიკის განაზრახის წიგნაკი
გია ნოდია
აპრილი, 2009
პოდკასტი

საქართველოს სატყეო სექტორი
პოლიტიკის განაზრახის წიგნაკი
ირაკლი მაჭარაშვილი
მარტი, 2009

ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული მოწყობა: სამოქალაქო საზოგადოების ხედვა
პოლიტიკის განაზრახის წიგნაკი
დავით ლოსაბერიძე
მარტი, 2009

მედია სივრცის პლურალიზმის პრობლემები საქართველოში
პოლიტიკის განაზრახის წიგნაკი
მალხაზ სალდაძე
მარტი, 2009

დანართი

კავკასიური ინსტიტუტის მიერ 2009 წელს განხორციელებული პროექტები

CIVICUS - სამოქალაქო საზოგადოების კვლევა საქართველოში
დონორი - ფონდი *ღია საზოგადოება - საქართველო*
ხანგრძლივობა - 01.10.2008 – 31.03.2010
მოცულობა - $ 32 000
კოორდინატორი - **თიკო ტყეშელაშვილი**
მიზანი - სამოქალაქო საზოგადოების კვლევა და მისი მომავალი განვითარებისთვის სამოქმედო გეგმის შემუშავება. სამოქალაქო საზოგადოების შეფასება შემდეგი განზომილებების მიხედვით: სამოქალაქო ჩართულობა, ინსტიტუციონალიზაციის ხარისხი, ღირებულებები, გავლენა და გარემო.

სამოქალაქო ორგანიზაციების ეროვნული ქსელი
დონორი - Black Sea Trust
ხანგრძლივობა - 01.07.2009-31.01.2010
მოცულობა - $ 24 714
კოორდინატორი - **ელენე ნოდია**

მიზანი - ხელი შეუწყოს ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაციების ჩართვას საჯარო პოლიტიკის შექმუშავებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

[საინტეგრაციო გარემოს გაუმჯობესება საქართველოში მაცხოვრებელი უმცროსებებისათვის საშუალო სკოლის რეფორმირების მეოხებით]
დონორი - ევანგელისტური განვითარების სამსახური/ EED
ხანგრძლივობა - 1.01.2008-31.12.2010
მოცულობა - € 370 000
კოორდინატორი - **სოფო ზვიადაძე**
მიზანი - საქართველოში, როგორც მულტიეთნიკურ და მულტიკულტურულ სახელმწიფოში, უმცირესობათა სამოქალაქო ინტეგრაცია.

[დამოუკიდებელი მედია სამოქალაქო ინტეგრაციისთვის]
დონორი - ევროკომისია
ხანგრძლივობა - 2007-2010
მოცულობა - € 479 576
კოორდინატორი - **თაკო პატარაია**
მიზანი - დამოუკიდებელი მედიის გაძლიერება ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში

[პოლიტიკური ინსტიტუტები საქართველოში]
პარტნიორი - ნიდერლანდების მრავალპარტიული დემოკრატიის ინსტიტუტი
ხანგრძლივობა - 01.09- 31.12.2009
მოცულობა - € 2 500
კოორდინატორი - **გია ნოდია**
მიზანი - მრავალპარტიული დიალოგის ხელშეწყობა

[ქართულ-რუსული საინფორმაციო-ანალიტიკური ვებ-გვერდი]
დონორი ფონდი *ღია საზოგადოება-საქართველო*
ხანგრძლივობა - 01.01.-30.06.2009
მოცულობა -$ 14 457
კოორდინატორი - **თამარ შამილი**
მიზანი - რუსული მხარისთვის ინფორმაციის მიწოდება რუსულ-ქართულ ურთიერთობებზე.

სიტუაციის ანალიზი სამცხე-ჯავახეთში
დონორი - ეუთო-ს უმცირესობათა კომისარი
ხანგრძლივობა - 01.04.2009 – 31.12.2009
მოცულობა - € 30 128
კოორდინატორი - **მარინა ელბაქიძე**
მიზანი - დაძაბულობის პოტენციური კერების მიკვლევა სოციო-პოლიტიკური ვითარების მონიტორინგის და ანალიზის გზით

ინსტიტუციური მხარდაჭერა 2009/2010
დონორი - ღია საზოგადოების ინსტიტუტის კვლევითი ცენტრების ფონდი (ბუდაპეშტი)
ხანგრძლივობა - 01.02.2009 – 31.01.2010
მოცულობა - $ 80 000
კოორდინატორი - **თიკო ტყეშელაშვილი**
მიზანი - კავკასიური ინსტიტუტის ორგანიზაციული მდგრადობის მხარდაჭერა; საქართველოს დემოკრატიული გარდაქმნის ხელშეწყობა.

შიდა ქართლის რეგიონში ადრეული გაფრთხილების სისტემის შექმნა
დონორი - ევროკომისია (ბრიუსელი)
ხანგრძლივობა - 01.09.2009 – 30.08.2010
მოცულობა - € 39 995
კოორდინატორი - **მარინა ელბაქიძე**
მიზანი - შიდა ქართლში სიტუაციის მონიტორინგი და ანალიზი

2009 წელს ჩატარებული ღონისძიებები

სახელწოდება - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა საქართველოში
თარიღი - 11 ნოემბერი, 2009
ღონისძიების სახეობა - დისკუსია
ადგილი - კავკასიური ინსტიტუტი

სახელწოდება - თრეინინგი პროექტის წერაში
თარიღი - 2-4 ოქტომბერი, 2009
ღონისძიების სახეობა - თრეინინგი
ადგილი -სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი

სახელწოდება - თრეინინგი სტრატეგიულ განვითარებაში
თარიღი - 2-4 ოქტომბერი, 2009
ღონისძიების სახეობა - თრეინინგი
ადგილი - სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი

სახელწოდება - განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმის შეფასება და არაქართული სკოლების წინაშე არსებული გამოწვევები
თარიღი - 1 ივნისი, 2009
ღონისძიების სახეობა - პრეზენტაცია
ადგილი - კავკასიური ინსტიტუტი

სახელწოდება - დისკუსია: სამცხე-ჯავახეთი 2008 წლის აგვისტოს შემდეგ
თარიღი - 15 ივნისი, 2009
ღონისძიების სახეობა - დისკუსია
ადგილი - კავკასიური ინსტიტუტი

სახელწოდება - კავკასიის კვლევის საერთაშორისო სკოლის პრეზენტაცია
თარიღი - 3 აპრილი, 2009
ღონისძიების სახეობა - პრეზენტაცია
ადგილი - ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სახელწოდება - დისკუსია: ცვალებადი მსოფლიო და საქართველო
თარიღი - 30 მარტი, 2009
ღონისძიების სახეობა - დისკუსია
ადგილი - ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სახელწოდება - სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო შეხვედრა
თარიღი - 21-22 მარტი, 2009

ღონისძიების სახეობა - სამუშაო შეხვედრა
ადგილი - ბაზალეთი

სახელწოდება - [სივიკუსი: მრჩეველთა საბჭოს პირველი შეხვედრა]
თარიღი - 7-8 თებერვალი, 2009
ღონისძიების სახეობა - სემინარი
ადგილი -ბაზალეთი

სახელწოდება - [რეგიონის გაზეთების რედაქტორთა შეკრება]
თარიღი - 23 იანვარი, 2009
ღონისძიების სახეობა - სემინარი
ადგილი - კავკასიური ინსტიტუტი